

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
„ბათუმის ბულვარი“

კონკურსის მეშვეობით საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
შედგენის მომსახურების შესყიდვის განცხადება

ქ. ბათუმი

2011 წ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. <u>საკონკურსო განცხადება</u>	3
2. <u>საკონკურსო პირობები</u>	5
2. <u>ტექნიკური დავალება</u>	8
3. <u>ხელშეკრულების პროექტი</u>	11

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

1. საკონკურსო განცხადება

1.1. სსიპ „ბათუმის ბულვარი“ აცხადებს კონკურს საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს;

1.2. კონკურსის მიზანია ქ. ბათუმის ბულვარში, არადაგანის ტბის მიმდებარედ პლაჟის ტერიტორიაზე, ტრანსფორმირებადი უნივერსალური სპორტული მოედნის (კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი) 250 მაყურებელზე საუკეთესო არქიტექტურული პროექტის (კონცეფცია, ესკიზი) გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

1.3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 4 000 (ოთხი ათასი) ლარს;

1.4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (http://procurement.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=39);

1.5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი (სსიპ „ბათუმის ბულვარი“ ს/კ 245630786);

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი;

1.6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, 1.4 და 1.5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას;

1.7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე;

1.8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ. შენიშვნა: დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს;

1.9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2011 წლის 05 დეკემბერს;

1.10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2011 წლის 16 დეკემბერს 16:00 საათზე; დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2011 წლის 16 დეკემბერს 16:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ვ. გამსახურდიას ქ. №2;

1.11. დალუქული პაკეტების გახსნა მოხდება 2011 წლის 16 დეკემბერს 17 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ვ. გამსახურდიას ქ. №2;

1.12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს;

1.13 კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

2. საკონკურსო პირობები:

2.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1.1. იურიდიული პირებისათვის:

- ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

2.1.2. ფიზიკური პირებისათვის:

- ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

2.1.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ბ) არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

2.1.4. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა:

- ა) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნის შესაბამისად, კონკურსანტის გამარჯვებულად გამოცხადების შემდგომ, ხელშეკრულების დადებამდე;
- ბ) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს კონკურსისათვის სტატუსის „კონკურსი გამოცხადებულია“ მინიჭების შემდგომ.

2.2. შეფასების კრიტერიუმები:

საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- ა) უნივერსალური სპორტული მოედნის არქიტექტურული პროექტი (კონცეფცია, ესკიზი): კოეფიციენტი – 0.7;
- ბ) საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.3;
- გ) შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.
- დ) კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა; ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტს წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარის პოზიცია.

2.3. საკონკურსო წინადადების ფასი:

- ა) საკონკურსო წინადადების ფასში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი;
- ბ) თუ პრეტენდენტი არ არის დღგ-ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე (კონკურსანტმა შენიშვნის სახით უნდა მიუთითოს გარემოება, რის საფუძველზეც არ ითვლება დღგ-ის გადამხდელად);
- გ) საკონკურსო წინადადება, რომლის ფასიც აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას 4 000 (ოთხიათასი), არ განიხილება.

2.4. ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:

2.4.2. ანგარიშსწორების პირობა:

- ა) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;
- ბ) წინასწარი ანგარიშსწორება ავანსი არ გამოიყენება;
- გ) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.4.3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

- ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,1 % პროცენტის ოდენობით;
- ბ) იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 10% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
- გ) საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;
- დ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

2.4.4. მომსახურების ვადა:

- ა) კონკურსანტმა მომსახურება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2011 წლის 28 დეკემბრამდე.

- 2.4.5. ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა საკონკურსო დოკუმენტაციის 2.5. პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

2.5. კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს:

საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში შემდეგი თანმიმდევრობით:

- საკონკურსო წინადადების ფასი, ვალუტა-ლარი;
- ტექნიკური დავალება, არქიტექტურული პროექტი (კონცეფცია; ესკიზი);
- ხელშეკრულების აუცილებელი პირობები;

2.6. კონკურსანტი პირის რეკვიზიტები

- კონკურსანტი პირის რეკვიზიტები, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
- კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება
- საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი
- კონკურსანტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
- ხელმძღვანელის სახელი, გვარი
- კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: ☎ ტელ.: ; 📠 ფაქსი.:; 📠 მობ.:
- ელექტრონული მისამართი, E-mail:
- ბანკის დასახელება
- ბანკის კოდი
- ანგარიშსწორების ანგარიში

ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

2.7. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები წარმოდგენილ პროექტში;

2.8. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები შენობის განლაგებასთან და მათ ფუნქციონალურ დატვირთვასთან დაკავშირებით;

2.9 წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს ელექტრონულ ვარიანტში ტექსტური დოკუმენტაცია უნდა იყოს დაბეჭდილი შრიფტით Sylfaen;

2.10 საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები;

2.11 საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისგან: ალექსანდრე ბოლქვაძე ტელ: (8422) 27 88 08; ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. №2.

2. ტექნიკური დავალება

2.1 ბათუმის ბულვარში, არდაგანის ტბის მიმდებარედ პლაჟის ტერიტორიაზე, ტრანსფორმირებადი უნივერსალური სპორტული მოედნის 250 მაყურებელზე

გათვლილი

(კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი)

საპროექტო - ტექნიკური დავალება

ბათუმის ბულვარში, არდაგანის ტბის მიმდებარედ პლაჟის ტერიტორიაზე, ტრანსფორმირებადი უნივერსალური სპორტული მოედანი გათვალისწინებულია:

სტანდარტული ხელბურთის მოედნისათვის (ზომით 40 მ. x 20 მ.);

სტანდარტული კალათბურთის მოედნისათვის (ზომით 28 მ. x 15 მ.);

სტანდარტული ფრენბურთის მოედნისათვის (ზომით 16 მ. x 8 მ.);

სპორტული მოედნის საფარი უნდა მოეწყოს მსხვილი ფრაქციის ღორღის დატკეპნილ საფარზე დასხმულ რკინა-ბეტონის ფილაზე სისქით 10-12 სმ.

ზემოთ აღნიშნულ ბეტონზე სპორტული მოედანი უნდა დაიგოს ხელოვნური ფერადი კაუჩუკის საფარისაგან. საფარის ფერი ბულვარის ლოგოს გამოსახულებით უნდა შეთახმდეს შემსყიდველთან.

სპორტული მოედანი შემოსაზღვრული უნდა იყოს ბეტონის შებათქაშებული კედლით, ხოლო უნდა შემოიღობოს პოლიეთილენში ამოვლებული მავთულ-ბადით.

ღობის კონსტრუქციაზე უნდა გათვალისწინებული იყოს მოედნის განათებისათვის საჭირო სათანადო სიმძლავრის პროექტორები, დროშების სამაგრები. სპორტული მოედნის ღობის სიმაღლე სიგრძეში უნდა იყოს 6 მ., ხოლო სიგანეში (კალათბურთის ფარისა და ხელბურთის კარების მხარეს) - 8 მ.

ასევე სპორტულ მოედანზე უნდა განთავსდეს ელექტრო ტაბლო. სპორტული მოედნისათვის გასათვალისწინებელია მაყურებელთა ტრიბუნა 250 კაცზე. ტრიბუნა უნდა დამონტაჟდეს მეტალის შესაბამისი კონსტრუქციით.

ტრიბუნის სკამები უნდა იყოს სტანდარტული, ჩამოსხმული სხვადასხვა ფერის პლასტმასის მასისგან, როგორც მიღებულია სპორტული მოედნებისათვის.

სპორტული მოედნის მარცხენა მხარეს უნდა მიშენდეს ქალთა და მამაკაცთა გასახდელები, საშხაფეები და საკვანძები.

სპორტული მოედნის საჭირო ინვენტარი უნდა იყოს ტრანსფორმირებადი მოძრავი (კალათბურთის ფარები, ხელბურთის კარებები, ფრენბურთის ბადის ბოძები და სამსაჯო სკამი).

სპორტული მოედანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყალმომარაგებით, საკანალიზაციო სისტემით გაზიფიცირებით და ელექტრო მომარეგებით (უახლოესი სატრანსფორმატორო სადგურიდან).

კედლების კონსტრუქცია მოპირკეთებული უნდა იყოს მეტალის თხელ ბადეში შევსებული შერჩეული ზღვის ქვებისაგან. სპორტული მოედნის დამხმარე ნაგებობა (საშხაპე, გასახდელები და საკვანძი) უნდა გადაიხუროს რკინა-ბეტონის ფილით, სათანადო დახრით, რომელზეც დაიგება მეტლახი და შემოიღობება მეტალის დეკორატიული მოაჯირით.

2.2 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

1. ტოპო გეგმა;
2. გეოლოგიური გამოკვლევა;
3. ვერტიკალური გეგმარება;
4. არქიტექტურული პროექტი;
5. კონსტრუქციული პროექტი;
6. ვენტილაცია, სანტექნიკა;
7. ელექტრო ტექნიკური პროექტი (მოიცავს ასევე, ტერიტორიის და მოედნის გარე განათებას);
8. წყალგაყვანილობა.
9. მშენებლობის ორგ. პროექტი;
10. ხარჯთაღრიცხვა;

2.2. საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, საავტორო ზედამხედველობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

2.3. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

2.4 პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებული სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

ხელშეკრულების პროექტი

ქ. ბათუმი

----- 2011 წ.

ერთის მხრივ, „სსიპ – ბათუმის ბულვარი“, დირექტორის ივანე ჭეიშვილის სახით, (შემდგომში – “შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ ----- სახით, (შემდგომში – “მიმწოდებელი”), კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია -----
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. (CPV -კოდი - 71200000)

2. ხელშეკრულები ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს. ----- ლარს.

3. ანგარიშსწორების პირობები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 წინასწარი ანგარიშსწორება ავანსი არ გამოიყენება;

3.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს -----.

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის პირობები ადგილი და ვადა

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს N--- კონკურსის საშუალებით საპროექტო მომსახურების შესყიდვის განცხადების ტექნიკური დავალების შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს ცვლილებები შეიტანოს პროექტში. ამასთან, მიმწოდებელმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები.

5.2 მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქN2.

5.3 მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა 2011 წლის -----.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებელი მომსახურების ღირებულების

ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს _____.

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.

7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,1 % პროცენტის ოდენობით;

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 3% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

8.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2011 წლის --- — და მოქმედებს 2011 წლის ————— ჩათვლით.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

სსიპ „ბათუმის ბულვარი“

ს/კ: 245630786

მის.: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. #2

ტ: 7 88 08

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ ბ/კ:

AGREGE22

ანგ. # GE57KS000000024173840

სსიპ „ბათუმის ბულვარის“ დირექტორი

ს/კ -----

მის: ----- ტ :

ს.ს. „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: ----- ანგ.#

